ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
ლერმონტოვის ქუჩა №10




თბილისი

დეკემბერი, 2015

ლერმონტოვისა და ტაბიძის ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარე შენობა XX საუკუნის 70-იან წლებში აშენდა, როგორც ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობა. მას მერე ამ ფუნქციით იყო დატვირთული, ვიდრე უკანასკნელ დრომდე. ბოლოს ამ შენობაში თბილისის საკრებულო ფუნქციონირებდა.

ეს მიკროუბანი სოლოლაკის უბანში ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიურად განაშენიანებული და ისტორიული ძეგლებით მდიდარი ქუჩაა. ლერმონტოვისა და ტაბიძის ქუჩები სოლოლკის ქედს პარალელურად მიუყვება იმ ქუჩათა მწკრივში, რომლებიც თავისუფლების მოედნიდან ერთმანეთის მიყოლებით ვითარდებიან ნარიყალას ფერდობისკენ. ქუჩა ძირითადად XIX ს-ის II ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის მსხვილი ბურჟუაზიის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა.




სოლოლაკში ურბანული განაშენიანების XIX საუკუნის შუა ხანებიდან ვითარდება. მანამდე აქ სანახები და ბაღები იყო გაშენებული, რასაც ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაც ადასტურებს, რომელზედაც ამ ადგილებში მეფის, დედოფლის, მამასახლისის, თბილელის ბაღებია აღნიშნული. გადმოცემის თანახმად არაბების ბატონობის ხანაში ბაღების მოსარწყავად აქ აკვედუკი აუშენებიათ. სარწყავ არხს არაბულად „სულუ-ლაჰ“ ქვია. როგორც ჩანს, ამ დასახელებიდან მომდინარეობს მთის (სოლოლაკის ქედი) და მის ძირში გაშლილი ტერიტორიის სახელწოდებაც – სოლოლაკი, ან სალალაკი.

XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში სოლოლაკში ძირითადად ბურჟუაზიული საზოგადოება სახლობდა. ამან განაპირობა უბნის არქიტექტურული სახეც. მისთვის დამახასიათებელია მსხვილმასშტაბიანი, ძირითადად ევროპული სტილის შენობები, რომელთაც ევროპული სტილის „თბილისურად“ გადამუშავებული ნაგებობები და ტიპიურად თბილისური სახლები ენაცვლება.

სოლოლაკის განაშენიანების ხასიათს დიდწილად მისი მთაგორიანი რელიეფი და მრუდხაზოვან ქუჩათა ქსელი განსაზღვრავს. როგორც 1913 წლის რუკაზე ჩანს XX საუკუნის დასაწყისში რეგულარულად დაგეგმარებული ქუჩათა ქსელი სოლოლაკის ქედის ზედა ნაწილში აამაღლების (დღევანდელი დავითაშვილის ქ.) ქუჩამდე აღწევდა. ხოლო მისი ზემო ნაწილი რელიეფის დახრილობიდან გამომდინარე კვლავ XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისური განაშენიანებას წარმოადგენს.

ამ ადგილებში დღემდეა შემორჩენილი ტიპიური თბილისური ხის აივნიანი სახლებიც. ისტორიული ქალაქის განაშენიანება ფაქტობრივად კოჯრის აღმართის დასაწყისში მთავრდებოდა. თუმცა ძველ რუკებზე ჩანს, რომ აქა-იქ უსისტემო, მცირე ზომის ერთსართულიანი ნაგებობები აღმართის ორივე მხარეს არსებობდა.



განსახილველი ობიექტი ტაბიძის ქუჩის №13-თა და ლერმონტოვის ქუჩის №10-ით თარიღდება. ამ ადგილას ისტორიულად ვიდრე მუნიციპალიტეტის შენობამდე, ტაბიძის ქუჩის განაშენიანება მთლიანი იყო და მასზე რამდენიმე ტიპიურად კლასიცისტური ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი იდგა.



როგორც საარქივო ფოტოდან და ძველი რუკებიდან ირკვევა, ეს ადგილი ყოველთვის განაშენიანებული იყო მსხვილი ერთიანი მოცულობით, სავარაუდოდ მაღალი სამსართულიანი შენობით, რომელიც მთლიანად მონიშნავდა ლერმონტოვ-ტაბიძის კუთხეს.

დღეს არსებული ნაგებობა არ წარმოადგენს კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას და შესაბამისად არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.





შენობის ორივე ფასადი სრულიად სადაა, შეიძლება ითქვას უსახურიც. ფასადის სიბრტყე დანაწევრებულია ერთგვაროვანი ღიობების მონოტონური რიტმით.

ლერმონტოვის ქუჩის მხრიდან აქცენტირებულია მთავარი სადარბაზო კარი, რომელიც გრანიტის მოპირკეთებით არის შემოსილი, ხოლო ტაბიძის ქუჩის

მხრიდან ცოკოლის სართულზე გამოკვეთილია მანქანის შესასვლელი გვირაბი ჭიშკრით.





ეზოს მხრიდან შენობა ასევე ერთფეროვნად და უსახურად გამოიყურება, ისევე, როგორც ამ პერიოდის თითქმის ყველა ტიპიური ადმინისტრაციული ნაგებობა. აქ ვერ ვხედავთ სოლოლაკის უბნისთვის დამახასიათებელი შიდა ეზოს ინტიმს და ღია სივრცობრივ ელემენტებს – ხის შუშაბანდებსა და აივნებს, რის გამოც ეზო უბნისთვის შეუფერებელი სიმკაცრითა და ერთფეროვნებით ხასიათდება.






ასევე უინტერესოა ისტორიულ-კულტურული კუთხით შენობის ინტერიერი. ეპოქისთვის დამახასაითებელი პანელური მოპირკეთებისა და იატაკზე დაგებული გრანიტის გარდა, მატერიალური ღირებულება თითქმის არცერთ არქიტექტურულ დეტალს არ გააჩნია. შიდა სივრცე საბჭოთა არქიტექტურის გვიანდელი პერიოდისათვის დამახასაითებელი ტიპურობითა და ერთგვაროვნებით ხასიათდება.







ამ შენობის არქიტექტურაში არ იკვეთება ე.წ. საავტორო ხელწერის ხასიათი, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა შენობის ირგვლივ არსებული მაღალმხატვრული ისტორიული არქიტექტურის ფონზე.







ლერმონტოვის ქ. №10 თავისი სიმაღლით რამდენადმე აღემატება მის ირგვლივ არსებულ ისტორიულ განაშენიანებას, რაც განპირობებულია მასზე დაშენებული მანსარდის სართულით. ამავე დროს, უკანასკნელ პერიოდში ამავე ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ახალი მსხვილი მოცულობაა დაპროექტებული.





დასკვნა-რეკომენდაციები

ლერმონტოვის ქ. №10, ტაბიძის ქ. №13 ნაგებობის დაბალი არქიტექტურული ღირებულებიდან გამომდინარე, მისი ექსტერიერის და ინტერიერის სახეცვლა თანამედროვე არქიტექტურული მოთხოვნების შესაბამისად მხოლოდ გააუმჯობესებს სოლოლაკის კვარტლის ამ მიკროუბნის იერსახეს.

ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია მასში სასტუმროს განთავსების მიზნით დასაშვებია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- უბნის ღირებულებიდან გამომდინარე, რეკონსტრუირებულ ნაგებობას უნდა ჰქონდეს ფონური იერსახე გადაწყვეტილი მინიმალისტური ხერხებით. მხატვრული ღირებულების შესაქმნელად აუცილებელია ხარისხიანი მოსაპირკეთებელი საშენმასალების გამოყენება. ფსევდო კლასიცისტური მიმართების არქიტექტურის შექმნა მიზანშეწონილი არ არის.
- იმის გათვალისწინებით, რომ შენობის გაბარიტი სჭარბობს ირგვლივ არსებული ნაგებობების სიმაღლეს, მასზე სრული სართულის დაშენება მიზანშეწონილი არ არის, ამასთან, შესაძლებელია არსებული სხვენის რეკონსტრუქცია არსებული ფართის ათვისების მიზნით, ან მისი გამოყენება ღია ან ნაწილობრივ ღია ტერასის სახით.
- ლერმონტოვის მხრიდან არსებული მანსარდული დაშენების იერსახე შესაცვლელია სავარაუდოდ ატიკის სართულის მსგავსად.
- ეზოს მხარეს სასურველია გაჩნდეს სივრცობრივად თბილისური ეზოებისათვის უფრო შესაბამისი ღია ან ნახევრად ღია არქიტექტურული ელემენტები.
- ინტერიერის ტრანსფორმაცია თანამედროვე კომფორტის მოთხოვნებთან შესაბამისად სავსებით მისაღებია.
- რეკონსტრუქციის პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნას მიმდებარედ არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების ფიზიკური მდგრადობის შესანარჩუნებელი ღონისძიებები (ეს განსაკუთრებით ეხება ლერმონტოვის ქ. №12).

ხელოვნებათნცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი